პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 8 დეკემბერი, 1943 წ. № 253 (6878). ფასი 20 კაპ.

ისტორიული გადაწყვეტილება

„პრავდის“ მოწინავე — 7 დეკემბერი

მთელი მსოფლიო შესცქერის სამი მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელების — სტალინის, რუზველტის, ჩერჩილის ისტორიული შეხვედრის შესახებ ჩვენი მოკავშირე ირანის დედაქალაქ თეირანში. ამ ღირსშესანიშნავმა შეხვედრამ, რომელიც წარმოადგენს ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის საბრძოლო კავშირის სულ უფრო მზარდი სიმტკიცის, სამი დიდი სახელმწიფოს სულ უფრო ღრმა თანამშრომლობის ახალ მკაფიო მოწმობას, ახალი ნათელი იმედით ალფრთოვანა ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხი, შეშფოთება, დაბნეულობა და ცოფიანი გაბოროტება გამოიწვია ჰიტლერული კოალიციის ბანაკში. დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიღებულია სამი მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელთა კონფერენციაზე. ისინი ჩამოყალიბებულია, უწინარეს ყოვლისა, სამი სახელმწიფოს დეკლარაციაში.

სამი სახელმწიფოს დეკლარაცია არის დიდი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელიც ამცნობს მსოფლიოს, სასტიკი და გამანადგურებელი ომით რომ იტანჯება, გაჩარჯვების ნანატრი ჟამის მოახლოებას. ეს დეკლარაცია არის არა მარტო ვამარჯვების მომასწავებელი,—იგი არის ხალხთა შორის მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობიანობის მომასწავებელი. პირსისხლიანი ჰიტლერის ავაზაკურმა ზრახვებმა ახალი გამანადგურებელი დარტყმა განიცადეს. სამი სახელმწიფოს დეკლარაცია ცხადყოფს დიდი ბრიტანეთის, სსრ კავშირისა და ა. შ. შტატების საბრძოლო კავშირის შემდგომ განმტკიცებას, საბრძოლო კავშირისა, რომელიც გამოიწვრთო ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ დიდი განმათავისუფლებელი ომის ცეცხლში.

სამი სახელმწიფოს დეკლარაცია ლოგიკურად გამომდინარეობს ა. შ. შტატების, სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის საბრძოლო თანამეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებიდან ომის პერიოდში, არამედ საფუძველიც ჩაუყარეს ნაყოფიერ ერთობლივ მუშაობას ომის შემდეგ. მაგრამ რა უდიდესი ნაბიჯია გადადგმული წინ ახლა ამ გზაზე!

კონფერენციაზე, თეირანში შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა და საბჭოთა კავშირის მთავრობის მეთაურმა ჩამოაყალიბეს და დაადასტურეს მოკავშირე სახელმწიფოთა საერთო პოლიტიკა ომის დროისათვის და ომისშემდგომი პერიოდისათვის. სამი სახელმწიფოს დეკლარაციაში ნათქვამია:

„ჩვენ გამოვთქვამთ ჩვენს მტკიცე გადაწყვეტილებას იმაში, რომ ჩვენი ქვეყნები ერთობლივად იმუშავებენ როგორც ომის დროს, ისე შემდგომ მშვიდობიან დროს“.

ომის მთავარი და გადამწყვეტი ამოცანა ნათელია. ეს არის ჰიტლერული გერმანიის უსწრაფესი და სრული განადგურება. უკვე მოსკოვის კონფერენციამ უპირველეს მიზნად აღიარა ომის დასასრულის დაჩქარება. ამ მიზნის განხორციელება მოითხოვს მოკავშირე სახელმწიფოთა და ყველა გაერთიანებული ერის დაძაბულ, ერთობლივ ღონისძიებებს, იმ უზარმაზარი ძალების შეთანხმებულ ურთიერთმოქმედებას, რომლებიც მოკავშირე სახელმწიფოებს გააჩნიათ. ა. შ. შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის კონფერენციაზე შეთანხმებულია გერმანიის შეიარაღებული ძალების მოსპობის გეგმები, ჯამორკვეულია მტრისათვის დარტყმის მთავარი ხაზები, ოპერაციების ვადები და მასშტაბები. ჯერ კიდევ არასოდეს არა ყოფილა ასე კონკრეტულად და მკაფიოდ დაყენებული საკითხი მოკავშირეთა შეთანხმებული საომარი მოქმედების შესახებ, რამაც უნდა გამოიწვიოს გერმანიის შეიარაღებულ ძალთა მოსპობა. სამი მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა მიაღწიეს სრულ ურთიერთგაგებას და გამოიმუშავეს საერთო ღონისძიებებით მტრის განადგურების შესაბამისი გეგმები.

„ჩვენ მივაღწიეთ სრულ შეთანხმებას, — ნათქვამია დეკლარაციაში, — **იმ ოპერაციების მასშტაბისა და ვადების შესახებ, რომლებიც დაიწყება აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან.**

ჩვენ მიერ აქ მიღწეული ურთიერთგაგება უზრუნველყოფს ჩვენს გამარჯვებას“.

კონფერენციაზე თეირანში შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა და საბჭოთა კავშირის მთავრობის მეთაურმა ჩამოაყალიბეს და დაადასტურეს მოკავშირე სახელმწიფოთა საერთო პოლიტიკა ომის დროისათვის და ომისშემდგომი პერიოდისათვის. სამი სახელმწიფოს დეკლარაციაში ნათქვამია:

„ჩვენ გამოვთქვამთ ჩვენს მტკიცე გადაწყვეტილებას იმაში, რომ ჩვენი ქვეყნები ერთობლივად იმუშავებენ როგორც ომის დროს, ისე შემდგომ მშვიდობიან დროს“.

ომის მთავარი და გადამწყვეტი ამოცანა ნათელია. ეს არის ჰიტლერული გერმანიის უსწრაფესი და სრული განადგურება. უკვე მოსკოვის კონფერენციამ უპირველეს მიზნად აღიარა ომის დასასრულის დაჩქარება. ამ მიზნის განხორციელება მოითხოვს მოკავშირე სახელმწიფოთა და ყველა გაერთიანებული ერის დაძაბულ, ერთობლივ ღონისძიებებს, იმ უზარმაზარი ძალების შეთანხმებულ ურთიერთმოქმედებას, რომლებიც მოკავშირე სახელმწიფოებს გააჩნიათ. ა. შ. შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის კონფერენციაზე შეთანხმებულია. გერმანიის შეიარაღებული ძალების მოსპობის გეგმები, ჯამორკვეულია მტრისათვის დარტყმის მთავარი ხაზები, ოპერაციების ვადები და მასშტაბები. ჯერ კიდევ არასოდეს არა ყოფილა ასე კონკრეტულად და მკაფიოდ დაყენებული საკითხი მოკავშირეთა შეთანხმებული საომარი მოქმედების შესახებ, რამაც უნდა გამოიწვიოს გერმანიის შეიარაღებულ ძალთა მოსპობა. სამი მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა მიაღწიეს სრულ ურთიერთგაგებას და გამოიმუშავეს საერთო ღონისძიებებით მტრის განადგურების შესაბამისი გეგმები.

„ჩვენ მივაღწიეთ სრულ შეთანხმებას, — ნათქვამია დეკლარაციაში, — **იმ ოპერაციების მასშტაბისა და ვადების შესახებ, რომლებიც დაიწყება აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან.**

ჩვენ მიერ აქ მიღწეული ურთიერთგაგება უზრუნველყოფს ჩვენს გამარჯვებას“.

გერმანიის შეიარაღებული ძალების განადგურებისა და მოსპობის გეგმებმა, რომლებიც დამტკიცებულ იქნა კონფერენციაზე, ამნაირად, დასახეს ჰიტლერული არმიისადმი ერთდროული გამანადგურებელი დარტყმები სხვადასხვა მხრიდან და მიმართულებებიდან. ეს გაერთიანებული სტრატეგია, რომელიც ეყრდნობა იმ მძლავრი ძალების შეთანხმებულ გამოყენებას, რომლებიც მოკავშირე სახელმწიფოებს გააჩნიათ, გამოხატავს კონფერენციის მონაწილეთა რკინისებურ ნებისყოფას მიაღწიონ მტრის უსწრაფესად განადგურებას. სამი დიდი სახელმწიფოს სამხედრო ღონისძიებათა გაერთიანება საერთო მტერზე გამარჯვების დასაჩქარებლად წარმოადგენს მათი თანამეგობრობის შემდგომი გაძლიერების მტკიცე საფუძველს. როგორც ომის დღეებში, ისე ომის შემდეგაც.

წითელი არმიის მიერ ჰიტლერელთა ურღვევნებმ, მოპოვებულ გამარჯვებათა შედეგად, ჩვენი მოკავშირეების წარმატებითი ნაბიჯების შედეგად ომში ძირფესვიანი გარდატეხა მოხდა.

მოკავშირე სახელმწიფოთა მხარეზე არის ურიცხვ უპირატესობა შეიარაღებული ძალებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, მხრივ. სამი სახელმწიფოს საბრძოლო კავშირის სიმტკიცე ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ საომარი მოქმედების გამომუშავებულ საერთო გეგმის ბაზაზე წარმოადგენს იმ მძლავრ ძალას, რომელსაც ძალუძს ბოლოს ყოველი დაბრკოლება დასახული მიზნის მიღწევაში. საქმე ახლა საბოლოო დასასრულისაკენ მიდის.

„მსოფლიოში ვერავითარი ძალა ვერ შეგვიშლის ჩვენ ხელს ვსცოთ გერმანიის არმიები ხმელეთზე, მათი წყალქვეშა ნავები ზღვაში და ვანგრიოთ მათი სამხედრო ჭარხნები ჰაერიდან.

ჩვენი შეტევა ულმობელი და მზარდი იქნება“.

თავისი ძალებისადმი ურყევი რწმენა გაისმის ამ სიტყვებში. ეს რწმენა ემყარება მოკავშირე სახელმწიფოთა გიგანტური სამხედრო ძლიერების ფიზიკურ შეფასებას, ძლიერებისა, რომელიც ომის მსვლელობაში გამოიჭედა, მეომარი მხარეების ძალთა და შესაძლებლობათა შეფარდების ზუსტ ანალიზს, ჰიტლერული გერმანიის სამხედრო და პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებას, გერმანიისა, რომელიც უაღრესად მძიმე კრიზისს განიცდის და თავისი კატასტროფის წინაშე დგას.

„ახლა უკვე ყველასათვის აშკარაა, რომ ჰიტლერულმა ხროვამ, გაჩაღა რა ახალნდელი ომი, გამოუვალ ჩიხში მოაქცია გერმანია და მისი მაჩაჩაღები. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ფაშისტთა ჯარების დამარცხებებმა და ჩვენი მოკავშირეების დარტყმებმა იტალია-გერმანიის ჯარების წინააღმდეგ შეარყიეს ფაშისტური ბლოკის მთელი შენობა და იგი ახლა ჩვენს თვალწინ ინგრევა“. (ი. სტალინი).

დიდი სახელმწიფოების — ა. შ. შტატების, სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის — კავშირის სასიცოცხლო ძალამ და სიმტკიცემ თავისი გამოხატულება ჰპოვა იმითაც, რომ კონფერენციის ისტორიული გადაწყვეტილება ჭქმნის გამარჯვების მოპოვების შემდეგ მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობიანობის უზრუნველყოფის დიდებულ პერსპექტივას, მშვიდობიანობისა, რომელიც უზრუნველჰყოფს უშიშროებას ყველა ხალხისათვის.

კონფერენციის ეს გადაწყვეტილება ემყარება მომავალი მშვიდობიანობის ბედისათვის იმ მაღალი პასუხისმგებლობის შეგნებას, რაც აკისრია სამ დიდ სახელმწიფოს, რომლებიც წარმოადგენენ გადამწყვეტ ხელმძღვანელ ძალას, რასაც შეუძლია უზრუნველყოს ხანგრძლივი, მტკიცე მშვიდობიანობა და უშიშროება.

„რაც შეეხება მშვიდობიან დროს, — ნათქვამია სამი სახელმწიფოს დეკლარაციაში, — **ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს შორის არსებული თანხმობა უზრუნველჰყოფს მტკიცე მშვიდობიანობას. ჩვენ მთლიანად ვაღიარებთ იმ მაღალ პასუხისმგებლობას, რაც გვაწევს ჩვენ და ყველა გაერთიანებულ ერს, ისეთი მშვიდობიანობის განხორციელებისათვის, რომელსაც მოიწონებს დედამიწის ხალხთა უდიდესი მასა და რომელიც თავიდან აგვაცილებს ომის უბედურებასა და საშინელებას მრავალი თაობის განმავლობაში“.**

სამი მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელთა კონფერენციამ დიპლომატიურ მრჩევლებთან ერთად განიხილა მომავლის პრობლემები და თავის დეკლარაციაში დაადასტურა, რომ ა. შ. შტატები, სსრ კავშირი და დიდი ბრიტანეთი თავიანთ ამოცანად სთვლიან უზრუნველჰყონ მსოფლიოს ყველა ქვეყნის, დიდი და პატარა ქვეყნის, ფართო თანამშრომლობა და თანამეგობრობა, რომელთა ხალხებიც ბრძოლას ეწევიან თავისუფლებისათვის ტირანიის, მონობის, ჩაგვრისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ.

„ჩვენ ვეცდებით, — ნათქვამია დეკლარაციაში, — **ითანამშრომლოს და აქტიური მონაწილეობა მიიღოს ყველა ქვეყანამ, დიდმა და პატარამ, რომელთა ხალხებმა, ჩვენი ხალხების მსგავსად, გულითა და გონებით მოანდომეს თავისი თავი ტირანიის, მონობის, ჩაგვრისა და შეუწყნარებლობის მოსპობის ამოცანას. ჩვენ მივესალმებით მათს შემოსვლას დემოკრატიული ქვეყნების მშვიდობიან ოჯახში, როცა ისინი ამას მოისურვებენ“.**

პატარა სახელმწიფოებთან სამი დიდი სახელმწიფოს დამოკიდებულების თვალსაჩინო, დამაჯერებელ მაგალითს წარმოადგენს მათი დეკლარაცია ირანის შესახებ. ეს დეკლარაცია ლაპარაკობს ყოველი იმ სახელმწიფოს ინტერესებისადმი ყურადღებითსა და გულისხმიერ დამოკიდებულებაზე, რომელიც მოკავშირე სახელმწიფოებთან თანამშრომლობს.

დეკლარაცია განსაკუთრებულად უსვამს ხაზს შეერთებული შტატების, სსრ კავშირისა და შეერთებული სამეფოს მთავრობათა სურვილს დაიცვან ირანის სრული დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი და ტერიტორიული ხელშეუხებლობა, რომლებზედაც, როგორც ცნობილია, ხელი აღმართა ჰიტლერულმა ავაზაკურმა იმპერიალიზმმა.

ა. შ. შტატების, სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ძთავრობები ვარაუდობენ, რომ ირანი სხვა მშვიდობისმოყვარე ერებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო მშვიდობიანობის, უშიშროებისა და პროგრესის დამყარებაში ომის შემდეგ.

ასეთია კონფერენციის შედეგები, რომლებმაც გაამართლეს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა საუკეთესო იმედები და ჰიტლერელ მეთაურთა ყველაზე უფრო დიდი საშიშროებანი.

ომის ცეცხლში გამოიწრთო და განმტკიცდა საბრძოლო კავშირი სამი სახელმწიფოსი, რომლებიც გაერთიანებული არიან ანტიჰიტლერულ კოალიციაში, გამოიწრთო და განმტკიცდა საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების დიდი ხალხების მეგობრობა, რომლებმაც აღმართეს ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა. კონფერენციამ გაალრმავა სამი დიდი სახელმწიფოს ურთიერთგაგება და განმტკიცა მათი მეგობრობა. ამას მოწმობენ სამი მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელთა ღრმად მეტყველი სიტყვები, რომლებიც თავიანთ დეკლარაციაში აცხადებენ:

„ჩვენ აქ მოვედით იმედითა და მტკიცე გადაწყვეტილებით. აქედან ჩვენ მივდივართ, როგორც სულისკვეთებითა და მიზნით ნამდვილი მეგობრები“.

თეირანის კონფერენციამ კანონიერად მიიპყრო მთელი მსოფლიოს ყურადღება. ა. შ. შტატების პრეზიდენტის ბატონ ფ. რუზველტის, საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ ი. ბ. სტალინისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ბატონ უ. ჩერჩილის — ამ გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეთა პირველად შეხვედრის უკვე თვით ფაქტი, რომლებიც ხელმძღვანელობენ ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ სამი დიდი სახელმწიფოს ბრძოლას, — პირველხარისხოვანი მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენს. მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე არის დამოკიდებული ომის მთელი შემდგომი მსვლელობა.

მოკავშირე სახელმწიფოთა ხელმძღვანელების კონფერენციამ თეირანში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე სამი სახელმწიფოს უაღრესად თვალსაჩინო დიპლომატიურმა შრომა, საბჭოთა კავშირის მარშალმა ვ. მ. მოლოტოვმა, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბატონმა ა. იდენმა, ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბატონმა ა. �ტეტინიუსმა, ა. შ. შტატების პრეზიდენტის სპეციალურმა ელჩმა ბატონმა გ. ჰოპკინსმა, დიდი ბრიტანეთის ელჩმა ბატონმა ა. კეტანეთის ელჩმა სსრ კავშირში ბატონმა ა. კერრმა და ა. შ. შტატების ელჩმა სსრ კავშირში ბატონმა ა. ჰარიმანმა, ამერიკის გენერალური შტაბის უფროსმა გენერალმა ა. ბრუკმა, ფელდმარშალმა დ. დილმა, პირველმა საზღვაო ლორდმა ფლოტის ადმირალმა ე. კენინგჰემმა, ა. შ. შტატების არმიის შტაბის უფროსმა გენერალმა დ. მარშალმა, ა. შ. შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდალმა ადმირალმა ე. კინგმა, დიდი ბრიტანეთის ავიაციის მთავარმა მარშალმა ჩ. პორტალმა და ა. შ. შტატების სამხედრო-საზღვაო ძალთა შტაბის უფროსმა გენერალმა გ. არნოლდმა.— გაერთიანა მოკავშირეთა სამხედრო გეგმები, გამოიმუშავა ჰიტლერული არმიის მოსპობის ერთიანი საერთო გეგმა და მით მოაახლოვა საერთო მტრის განადგურება და ომის დასასრული.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა

ქალაქ ალექსანდრიის დაკავებისათვის წარმოებულ ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ შადოვის, სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ როტმისტროვის ჯარებმა და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ გორიუნოვის მფრინავებმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი:

პოლკოვნიკ ოგოროდოვის გვარდიის 110-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ ბუშევის 111-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ უუკოვის კრემენჩუგის 214-ე მსროლელმა დივიზიამ, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ხასინის მე-8 მექანიზებულმა კორპუსმა, პოლკოვნიკ იურევიჩის 116-ე სატანკო ბრიგადამ, პოლკოვნიკ სოკნინის 91-ე საჰაუბიცო საარტილერიო ბრიგადამ, პოლკოვნიკ სტეპაშჩენკოს მე-11 გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო ბრიგადამ, მაიორ ზატულკის 444-ე გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ გოლდინის კრემენჩუგის გვარდიის 308-ე ნაღმმტყორცნელმა პოლკმა, პოლკოვნიკ კოვალენკოს მე-14 მოიერიშე საინჟინრო-სასანგრო ბრიგადამ და პოლკოვნიკ ტარანენკოს პოლტავის 294-ე გამანადგურებელმა საავიაციო დივიზიამ.

მიღწეული წარმატების აღსანიშნავად შენაერთებსა და ნაწილებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ქალაქ ალექსანდრიის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, მიენიჭოთ „ალექსანდრიის“ სახელწოდება.

ამიერიდან ეს შენაერთები და ნაწილები იწოდებოდნენ:

ალექსანდრიის გვარდიის 110-ე მსროლელი დივიზია,
ალექსანდრიის 111-ე მსროლელი დივიზია,
კრემენჩუგ-ალექსანდრიის 214-ე მსროლელი დივიზია,
ალექსანდრიის მე-8 მექანიზებული კორპუსი,
ალექსანდრიის 116-ე სატანკო ბრიგადა,
ალექსანდრიის 91-ე საჰაუბიცო საარტილერიო ბრიგადა,
ალექსანდრიის მე-11 გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო ბრიგადა,
ალექსანდრიის 444-ე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკი,
კრემენჩუგ-ალექსანდრიის გვარდიის 308-ე ნაღმმტყორცნელი პოლკი,
ალექსანდრიის მე-14 მოიერიშე საინჟინრო-სასანგრო ბრიგადა,
პოლტავა-ალექსანდრიის 294-ე გამანადგურებელი საავიაციო დივიზია.

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წ. 6 დეკემბერი.

ბრძანება
თავდაცვის სახალხო კომისრისა

1943 წლის 7 დეკემბერი № 313 ქალ. მოსკოვი

8 დეკემბერს 25 წელი სრულდება წითელი არმიის მ. ვ. ფრუნზეს სახელობის ორგზის ორდენოსანი სამხედრო აკადემიის დაარსების დღიდან.

სამოქალაქო ომის პირველ წელს შექმნილმა აკადემიამ თავისი არსებობის 25 წლის განმავლობაში წითელ არმიას მისცა კარგად მომზადებულ, თანამედროვე სამხედრო ხელოვნების დონეზე მდგომ, ბოლშევიკური პარტიისა და სოციალისტური სამშობლოს ერთგულ მეთაურთა მრავალრიცხოვანი კადრები.

აკადემიაში გამოზრდილი მრავალი ოფიცერი და გენერალი, რომელნიც სამამულო ომის ფრონტებზე იმყოფებიან, უნარიანად აწყობენ და წარმატებით ეწევიან ბრძოლას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ.

აღვნიშნავ რა სამხედრო აკადემიის დამსახურებას წითელი არმიისა და სამშობლოს წინაშე, რწმენას გამოვთქვამ, რომ მისი სარდლობა და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა თავის შემოქმედებითს მუშაობაში წინანდებურადვე იხილმძღვანელებენ მისწრაფებით მისცენ წითელ არმიას ენერგიული და სამხედრო საქმის მცოდნე ოფიცრები.

მტერზე გამარჯვების საქმე მოითხოვს სამამულო ომის გამოცდილების მუდმივ და ღრმა შესწავლას და ამ გამოცდილების დაუყოვნებლივ გამოყენებას ჯარებში. ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტაში მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიამ, ისევე როგორც წინათ, უნდა გაამართლოს წითელი არმიის სამხედრო-სამეცნიერო აზრის უდიდესი ცენტრის მაღალი დანიშნულება.

ვუღოცავ მ. ვ. ფრუნზეს სახელობის ორგზის ორდენოსანი სამხედრო აკადემიის სარდლობას, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობას და მსმენელთ, მისი 25 წლის იუბილეს დღეს და ვუსურვებ აკადემიას შემდგომს წარმატებებს მის შემოქმედებითს მუშაობაში.

თავდაცვის სახალხო კომისარი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
7 დეკემბრის ოპერაციული ცნობა

7 დეკემბრის განმავლობაში კრემენჩუგის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობასა და კონტრიერიშებს, დაიკავეს მისი თავდაცვის ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტები კლოჩკოვო, მალაია ანდრუშოვკა, ანდრუშოვკა, იარემოვკა, ვასილიევკა, გრიგორიევკა, გლინსკი, არსენიევა, ვერშაცი, შამოვკა, ვასოვკა, მარტო-ივანოვკა, სემიონოვკა, ივანოვკა, დუბოვი და რკინიგზის სადგური პანტაევკა.

ჩერნიახოვის რაიონში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მტრის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების წინააღმდეგ და მათი ზემოქმედებით დასტოვეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანაღმტყორცნო ხროლაა.

6 დეკემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაახიანეს და მოსპეს გერმანელთა 128 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 29 თვითმფრინავი.

* * *

კრემენჩუგის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები, რომელნიც მტრის წინააღმდეგობას ძლევდნენ, წინ მიიწევდნენ და დიაკავეს რამდენიმე ძლიერი გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი. 6 ნაწილის გვარდიელებმა, რომლებმაც გუშინ დიაკავეს დასახლებული პუნქტი გოლოვკოვკა, 600 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს. ხელთ ვიგდეთ მოწინააღმდეგის 30 ქვემეხი, 13 ნაღმსატყორცნი, 30 ტყვიამფრქვევი 5 ტრაქტორი და სოომარი მასალის საწყობი. რკინიგზის სადგურ პანტაევკაში ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს რკინიგზის ორი ეშელონი სურსათიანად. დღეს ერთ რაიონში მოწინააღმდეგემ დიდი ძალებით სცადა კონტრიერიში მოეტანა ჩვენს ნაწილებზე. 6 შენაერთის არტილერისტებმა და ჯავშანმტვრეველებმა დაიხიანეს და დასწვეს გერმანელთა 34 ტანკი, 2 ჯავშანმანქანა და რამდენიმე თვითმავალი ქვემეხი. ერთი დღის ბრძოლების განმავლობაში მოსპობილია 1.000-ზე მეტი ჰიტლერელი. ხელთ ვიგდეთ გერმანელთა ორი ვაგონი ტანკი, 10 ჯავშანმანქანა, 28 ქვემეხი, რკინიგზის ეშელონი სამხედრო ტვირთებიანად და სხვა დაგლა. წამოყვანილია ტყვეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა.

* * *

ჩერნიახოვის რაიონში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ გაფფორებულ ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ. ერთ უბანზე გერმანელთა ქვეითი ჯარის დიდმა ძალებმა ტანკების დახმარებით იერიში მოიტანეს ჩვენს პოზიციებზე. გერმანელებს განუწყვეტლივ გამოჰყავდათ ბრძოლაში სულ ახალ-ახალი ქვეითი და სატანკო ნაწილები. დღის ბოლოს ერთ უბანზე ჩვენმა ნაწილებმა მოწინააღმდეგის ზემოქმედებით დასტოვეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. საბჭოთა ჯარებმა, იგერიებდნენ რა მტრის იერიშებს, დიდი ზარალი მიაყენეს გერმანელებს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. არასრული ცნობებით, მოსპობილია მოწინააღმდეგის 1.500-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. დღის განმავლობაში დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 53 ტანკი და 5 ჯავშანმანქანა. სხვა უბანზე 6 ნაწილის მებრძოლებმა, იგერიებდნენ რა ჰიტლერელთა იერიშს, მოსპეს გერმანელთა 9 ტანკი.

ჩვენი მფრინავები, ცუდი ამინდის მიუხედავად, ურტყამდნენ გერმანელთა ჯარებს და მოსპეს რამდენიმე ტანკი, 40-მდე ავტომანქანა, გაანადგურეს მოწინააღმდეგის რკინიგზის ეშელონი და ჯავშნიანი მატარებელი.

* * *

ჩვენმა ავიაციამ საჰაერო ბრძოლებში ჭერჩის ნახევარკუნძულზე ჩამოაგდო გერმანელთა 22 თვითმფრინავი.

შავი ზღვის ფლოტის ავიაციამ ჩასძირა მოწინააღმდეგის სამი თვითმავალი კარჭაპი.

* * *

ბარანოვიჩის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა ლენინის სახელობის პარტიზანულმა რაზმმა ალფოთქა გერმანელთა ორი სარკინიგზო ეშელონი. რომლებიც ფრონტის ხაზისაკენ მიდიოდნენ. მარტის შედეგად დაიმსხვრა 20-მდე ტანკი და ქვემეხი. ამ უბანზე მატარებლების მიმოსვლა შეჩერებული იყო სამ დღე-ღამეს. ძერჟინსკის სახელობის პარტიზანულმა რაზმმა ლიანდაგიდან გადააგდო მტრის რამდენიმე ეშელონი. დაიმსხვრა დიდძალი ვაგონი გერმანელთა ჯარებიანად და სამხედრო ტვირთიანად. პარტიზანთა ჯგუფმა შეაღწია რკინიგზის სადგურზე ქალაქ ბარანოვიჩის ახლოს და ცეცხლი წაუკიდა ბენზინიან ცისტერნებს. ცეცხლმა მოსპო მრავალი ცისტერნა და ვაგონები სამხედრო ტვირთიანად.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა მე-12 სატანკო დივიზიის 25-ე მოტოპოლკის 1-ლი ასეულის ჯარისკაცმა რუდოლფ ჩაინმა განაცხადა: „ოქტომბერში მე, 361-ე სათადარიგო ბატალიონის შემადგენლობაში. ფრონტზე გამოვემგზავრე ქალაქ ვუპერტალიდან. პირველი ზარალი ბატალიონს გზაში, მოუვიდა, ფრონტიდან შორს. მინსკის რაიონში ეშელონი ნაღმებს წააწყდა. 50-ზე მეტი ჯარისკაცი დაიჩიჩა და დაიჭრა. რკინიგზელები გვიმბობდნენ, რომ წინადღეს ამავე გადასარბენზე აფეთქდა მატარებელი, რომლითაც ფრონტზე მიდიოდა 700 ჯარისკაცი. ერთი თვის სისტრატეგიულ ბრძოლების განმავლობაში რუსებმა ძლიერ შეფერთხეს ჩვენი დივიზია. მოტოქვეითი პოლკების ქვეგანაყოფები მეტად მცირერიცხოვანია. ზოგიერთ ასეულში 15 კაციღა დარჩა. 25-ე მოტოპოლკი ფაქტიურად აღარ არსებობს. მისი ქვეგანაყოფების ნაშთები ერთ ასეულად არის გაერთიანებული“.

* * *

კიევის ოლქის ქალაქ ვასილკოვის მცხოვრებლებმა, — ექიმმა პოლონსკიმ, ტყვიის ქარხნის მუშამ კოვშევატსკიმ, დიასახლისმა გორბიკმა და სხვებმა გვიამბეს გერმანელი ფაშისტი არამზადების მხეცობის შესახებ: „ქალაქ ვასილკოვის ოკუპაციის დროის განმავლობაში გერმანელებმა წამებით დახოცეს და დახვრიტეს 1.500-ზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები. სიკვდილით დასჯა ხდებოდა პოკროვსკის სასაფლაოზე, კოვალიოვკაზე და ადგილ კრუგლიკში. ფაშისტი ჯალათები ორმოებში ერეკებოდნენ მოსახლეობას და ავტომატებით ხვრეტდნენ. გერმანელი მტარვალები მხეცურად გაუსწორდნენ ავადმყოფ ქალებსა და მამაკაცებს, რომელნიც ადგილბრივ სამკურნალოში იყვნენ. ერთი დღის განმავლობაში მათ 200-ზე მეტი ავადმყოფი დახვრიტეს. ქალაქ ვასილკოვიდან და ვასილკოვის რაიონიდან წერმანელმა მონათმფლობელებმა გერმანულ კატორღაში გარეკეს მრავალი ათასი საბჭოთა მოქალაქე. ჰიტლერელებმა გაანადგურეს და დაანგრიეს ქალაქის კულტურული დაწესებულებანი: დასწვეს ათწლედი სკოლა, კინოთეატრი, მუშათა კლუბი, მოსპეს სამედიცინო სკოლის შენობა. რენტგენის კაბინეტი, დაარღვიეს და შეშად იხმარეს ორი სკოლა, პიონერთა კლუბი და აგროსკოლა. გერმანელმა დამპყრობლებმა გაძარცვეს რაიონული პედაგოგიური კაბინეტი, დაატაცეს საფერშლო სკოლის ქონება და სავსებით მოსპეს ქალაქის ბიბლიოთეკის წიგნები“.

საბჭოთა ხალხი მხურვალედ მიესალმება სამი მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელთა კონფერენციის ისტორიულ გადაწყვეტილებებს

საბჭოთა კავშირის მშრომელები ღრმა კმაყოფილებით შეხვდნენ ცნობებს სამი მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელთა ისტორიული კონფერენციის შესახებ.

საწარმოებში გაიმართა კონფერენციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისადმი მიძღვნილი მიტინგები.

დაძაბული ყურადღებით ისმენდნენ რადიოთი კონფერენციის დოკუმენტების ტექსტს მოსკოვის ჩარხის ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მუშები. საფრონტო ბრიგადის ბრიგადირმა ამხანაგმა ბოლდირევამ, რომელმაც ყველა მუშის აზრი გამოხატა, სთქვა:

„ახლა შემუ

საბჭოთა ზურგი დიდი სამამულო ომის დღეებში

საბჭოთა ზურგის მშრომელები კანონიერი სიამაყით შეხვდნენ მათი პატრიოტული, თავდადებული ღონისძიებების მაღალ შეფასებას, რომელიც მოცემულია თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის ისტორიულ მოხსენებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავის შესახებ.

ამხანაგი სტალინი ლაპარაკობდა ჩვენი მუშათა კლასის დიდ დამსახურებაზე, კოლმეურნე გლეხობის პატრიოტიზმზე, ჩვენი ტრანსპორტის მუშებისა და მოსამსახურეების დამსახურებაზე, საბჭოთა ინტელიგენციის პატრიოტიზმზე. ფრონტისადმი საყოველთაო-სახალხო დახმარებამ უზრუნველყო წითელი არმიის წარმატებანი.

„სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ზურგში საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომა წითელი არმიის გმირულ ბრძოლასთან ერთად შევა ისტორიაში, როგორც ხალხის უმაგალითო გმირობა სამშობლოს დასაცავად“ (სტალინი).

ეი უკვე თითქმის ორწელიწადნახევარია საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები აწარმოებენ ისტორიაში ჯერ არნახულ გიგანტურ ბრძოლას თავიანთი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. მსოფლიოში ვერც ერთი სახელმწიფო ვერ გაუძლებდა ისეთ განსაცდელთ, როგორსაც საბჭოთა კავშირმა გაუძლო. სიძნელის მხრივ უმაგალითო ომის ცეცხლში საბჭოთა სახელმწიფომ, მისმა წითელმა არმიამ და საბჭოთა ზურგმა თავიანთი ურყევი ძალა და ძლიერება გვიჩვენეს.

რა არის საბჭოთა სახელმწიფოს ასეთი ძალისა და ძლიერების წყარო?

თავის ისტორიულ მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა მიგვითითა საბჭოთა კავშირის **ძლიერების** ამ დიდ **წყაროებზე,** რომელთა მეოხებითაც ჩვენმა სამშობლომ გაუძლო ხალხის ყველა მატერიალური და სულიერი ძალების უძნელეს ყოველმხრივ გამოცდას ჰიტლერულ გერმანიასთან გიგანტურ ბრძოლებში და **ამჟამად** მტკიცედ მიდის სრული გამარჯვებისაკენ.

მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა შვილები თავდადებით, გმირულად იბრძვიან ფრონტზე თავიანთი საბჭოთა სამშობლოსათვის, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, გერმანელ დამპყრობთა უღელქვეშ მგმინავი თავიანთი ძმების განთავისუფლებისათვის. საბჭოთა კავშირის ხალხები თავდადებით შრომობენ ზურგში ფრონტის დასახმარებლად. ჩაიფუშა ჰიტლერელ პოლიტიკოსთა ყველა სულელური ვარაუდი საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის გათიშვისა და შეჯახებისა.

„ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობამ ომის ყველა სიძნელესა და განსაცდელს გაუძლო და კიდევ უფრო გამოიწრთო ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ყველა საბჭოთა ადამიანის საერთო ბრძოლაში.

ამაშია საბჭოთა კავშირის ძლიერების წყარო“,—გვასწავლის ამხანაგი სტალინი.

საბჭოთა სახელმწიფოს, საბჭოთა ხალხის ძალისა და ძლიერების უდიდეს წყაროს წარმოადგენს ლენინ-სტალინის პარტია, ბოლშევიკების პარტია, როგორც საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელი და წარმმართავი ძალა. ბოლშევიკების პარტია გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო ბრძოლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია. ჰიტლერულ გერმანიასთან ომის პირველივე დღეებიდან, სასიკვდილო საფრთხის წინაშე მძლავრი პატრიოტული აღფრთოვანებით მოცული მთელი საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა თავისი შშობლიური ბოლშევიკური პარტიის გარშემო, რომლის სიბრძნე, უშიშრობა, მტრებზე გასამარჯვებლად ხალხს გაძღოლის უნარი შემოწმებულია პარტიის ათეული წლების გმირული, თავდადებული ბრძოლით.

„საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელი და წარმმართავი ძალა როგორც მშვიდობიანი მშენებლობის წლებში, ისე ომის დღეებში არის ლენინის პარტია, ბოლშევიკების პარტია. არც ერთ პარტიას არა ჰქონია და არა აქვს ისეთი ავტორიტეტი ხალხის მასებში, როგორიც ჩვენს ბოლშევიკურ პარტიას აქვს. და ეს გასაგებია. ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ მოიპოვეს თავისუფლება და ააშენეს სოციალისტური საზოგადოება. სამამულო ომის დღეებში პარტია ჩვენს წინაშე წარმოსდგა, როგორც ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო ბრძოლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. პარტიის ორგანიზატორულმა მუშაობამ გაიერთიანა და საერთო მიზნისაკენ წარმართა საბჭოთა ადამიანების მთელი ღონისძიებანი, მტრის განადგურების საქმეს დაუმორჩილა მთელი ჩვენი ძალები და საშუალებანი. ომის განმავლობაში პარტია კიდევ უფრო შეეესისხლხორცა ხალხს, კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა მშრომელთა ფართო მასებს.

ამაშია ჩვენი სახელმწიფოს ძლიერების წყარო“,—გვასწავლის ამხანაგი სტალინი.

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხის მიერ მოპოვებული და შექმნილი საბჭოთა წყობილება ყველაზე მოწინავე საზოგადოებრივი წყობილებაა. ჩვენს ქვეყანაში ისტორიაში პირველად მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, აშენებულია ახალი, სოციალისტური საზოგადოება. ძლიერ ნაკადად აჩქეფდა მძლავრი შემოქმედებითი ძალები ხალხის მასებისა, როგორც ამაყნი არიან იმ შეგნებით, რომ ისინი არიან თავიანთი ბედ-იღბლის, თავიანთი საბჭოთა ქვეყნის ბატონ-პატრონნი. ემყარება რა მეურნეობის სოციალისტური სისტემის და მთელი საბჭოთა წყობილების უპირატესობებს, საბჭოთა ხალხმა უმოკლეს ისტორიულ ვადაში ჩვენი სამშობლო ჩამორჩენილი ქვეყნიდან გადააქცია მძლავრი მოწინავე ინდუსტრიის, მოწინავე ტექნიზებული კოლექტიური მეწამთამქედების ქვეყნად, განახორციელა კულტურული რევოლუცია. სამამულო ომის მრისხანე განსაცდელთა დღეებში საბჭოთა წყობილებამ გამოიჩინა თავი როგორც ხალხის მთელი ძალების მობილიზაციის საუკეთესო ფორმამ მტრისადმი წინააღმდეგობის გასაწევად.

„საბჭოთა სახელმწიფო არასოდეს არა ყოფილა ისე მტკიცე და ურყევი, როგორც არის ახლა, სამამული ომის მესამე წელს. ომის გაკეთილები მოწმობენ, რომ საბჭოთა წყობილება აღმოჩნდა არა მარტო საუკეთესო ფორმა მშვიდობიანი მშენებლობის წლებში ქვეყნის ეკონომიური და კულტურული აღმავლობის ორგანიზაციისა, არამედ საუკეთესო ფორმაც ომიანობის დროს მტრისადმი წინააღმდეგობის გასაწევად ხალხის მთელი ძალების მობილიზაციისა. 26 წლის წინათ შექმნილმა საბჭოთა ხელისუფლებამ ჩვენი ქვეყანა მოკლე ისტორიულ ვადაში ურყევ სიმაგრედ გადაქცია. წითელ არმიას მსოფლიოს ყველა არმიათა შორის ყველაზე მტკიცე და საიმედო ზურგი აქვს.

ამაშია საბჭოთა კავშირის ძლიერების წყარო“, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი.

ამხანაგ სტალინის მხოლოდ ამ მითითებათა საფუძველზე შეგვიძლია სწორად გავიგოთ საბჭოთა ხალხის, საბჭოთა სახელმწიფოს მთელი დიადი, ურყევი ძალა, საბჭოთა ზურგის ძლიერება და სიმტკიცე.

* * *

სამშობლოს დაცვაში, კაცობრიობის უბოროტესი მტრების—ჰიტლერელი ავაზაკების — წინააღმდეგ გიგანტურ ბრძოლებში საბჭოთა ხალხისა და მისი გმირი წითელი არმიის უკვდავმა საგმირო საქმეებმა საბჭოთა კავშირს პოპოვეს მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა პატივისცემა და აღტაცება. წითელი არმიის გმირობაში, მის ისტორიულ გამარჯვებებში თავისუფლებისმოყვარე ხალხები თაყვანთთვის ხედავენ ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ გაბედული, გადამწყვეტი და ოსტატური ბრძოლის მაგალითს.

ბოლშევიკური პარტია ათეულ წლებით ზრდიდა, რაზმავდა, აორგანიზებდა მუშათა კლასს თავისუფლებისათვის, ახალი, სოციალისტური წყობილებისათვის საბრძოლველად. ოქტომბრის რევოლუციის წინ, 1917 წ. სექტემბერში, ლენინი სიამაყით სწერდა, რომ პარტია „ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისია“[1]. პარტიამ აღაფრთოვანა და დარაზმა მშრომელნი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისათვის. 25 წლის წინათ, როდესაც ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას თავს დაატყდნენ თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა ურდოები, ბოლშევიკურმა პარტიამ ფეხზე დააყენა მუშები და გლეხები უცხოელ დამპყრობთა **და** ბურჟუაზიულ-შეპამულური თეთრგვარდიელების წინააღმდეგ **სამამულო** ომის საწარმოებლად. მტრები დამარცხებულ და საბჭოთა ქვეყნის ფარგლებიდან განდევნილ იქნენ.

წითელმა არმიამ დაამარცხა ინტერვენციისა და რუსეთში ბურჟუაზიულ-მემამულურ-თეთრგვარდიული კონტრრევოლუციის შეერთებული ძალები იმიტომ, რომ წითელი არმიის ზურგისა და ფრონტის ხელმძღვანელი ბრთვი მაშინ, ისევე როგორც ახლა, იყო ბოლშევიკების პარტია—„ერთიანი თავისი დარაზმულობითა და დისციპლინით, ძლიერი თავისი რევოლუციური სულისკვეთებით და მზადყოფი გაეღო ყოველგვარი მსხვერპლი საერთო საქმის წარმატებისათვის, უბადლო თავისი უნარით — დარაზმა მილიონნახევარ მასები და სწორად ეხელმძღვანელნა მათთვის რთულ ვითარებაში“[2].

მშვიდობიანი მშენებლობის წლებში ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა ძირფესვიანად გარდაქმნა ჩვენი ქვეყნის მთელი სახე, გადააქცია იგი ჩამორჩენილი ქვეყნიდან, როგორიც იყო ძველი რუსეთი, მოწინავე, კულტურულ, მძლავრ ინდუსტრიულ და საკოლმეურნეო სოციალისტურ სახელმწიფოდ. პარტიის ყრილობებსა და კონფერენციებზე იღებდნენ დიად სამუშაოთა გეგმებს, სტალინური ხუთწლედების გეგმებს, რომლებიც ხდებოდნენ მთელი საბჭოთა ხალხის ბრძოლის პროგრამად.

ბოლშევიკურ პარტიას, მჭიდროდ შეკავშირებულ, ნებისყოფის ერთიანობით ძლიერ პარტიას, რომელსაც შესწევდა უნარი აღფრთოვანებინა მასები სოციალისტური მშენებლობის გიგანტური ამოცანებით, უძღვნა მაიაკოვსკიმ შემდეგი შესანიშნავი სიტყვები:

პარტია არის
მილიონთა
მხარი და ბეჭი,
ურთიერთსა
რომ მიეკედლა, მიჯრილა მტკიცედ,
ცისკენ აღმართავს
სასახლეებს,
არა გვაქვს ეჭვი,
ერთმანეთს ვიცავთ,
ერთმანეთით
სულ მაღლა ვიწევთ.

ლენინ-სტალინის პარტია ზრდიდა ჩვენს ხალხში, უნერგავდა მას ისეთ უმნიშვნელოვანეს თვისებებს, როგორიც არის „მიზნის სიცხადე, სიმტკიცე მიზნის მიღწევის საქმეში და ხასიათის სიმტკიცე, რომელიც ყველა და ყოველგვარ დაბრკოლებას ამსხვრევს“ (სტალინი).

ლენინ-სტალინის პარტიის მიერ აღზრდილმა და ორგანიზებულმა, დიადი მიზნით აღფრთოვანებულმა საბჭოთა ხალხმა დასძლია მის გზაზე გადაღობილი ყველა სიძნელე და დაბრკოლება, უმოკლეს ისტორიულ ვადაში ააშენა ახალი, სოციალისტური საზოგადოება. მთელი ჩვენი ხალხი ბოლშევიკების პარტიაში ხედავდა და ხედავს თავის გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, ერთსულოვნად უჭერდა და უჭერს მხარს პარტიას. 90 მილიონმა საბჭოთა ადამიანმა თავისი ერთსულოვანი ხმის მიცემით 1937 წლის 12 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში დაადასტურა სოციალიზმის ისტორიული გამარჯვება სსრ კავშირში.

„ეს იყო კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის შესანიშნავი გამარჯვება.

ეს იყო ბოლშევიკების პარტიის ტრიუმფი“.[3])

პარტიის ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი ბრძნული შორსმჭვრეტელობით მიუთითებდა ჩვენს კადრებს და მთელ საბჭოთა ხალხს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპების აუცილებლობაზე, მიუთითებდა, რომ ამაზეა დამოკიდებული ჩვენი სამშობლოს ბედ-იღბალი:

„ჩვენ 50-100 წლით ჩამოვრჩით მოწინავე ქვეყნებს. ჩვენ ეს მანძილი ათი წლის განმავლობაში უნდა გავირბინოთ. ან შეგასრულებთ ამას, ან გაგვსრესენ“, — ამბობდა ამხანაგი სტალინი 1931 წლის თებერვალში.[4])

10 წლის განმავლობაში, 1931-დან 1941 წლამდე, ჩვენ მოვასწრეთ ჩვენი საუკუნებრივი ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია ტექნიკაში, მოვასწრეთ იმ მანძილის გარბენა, რომლითაც ჩამოვრჩებოდით მოწინავე ქვეყნებს.

სამამულო ომის დღეებში განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლენინურ-სტალინური პოლიტიკის მთელმა ისტორიულმა მნიშვნელობამ, პოლიტიკის, რომელსაც განუხრელად ატარებდა პარტია. სოციალისტურმა ინდუსტრიალიზაციამ და საკოლმეურნეო წყობილებამ შეჭამნეს ჩვენი სამშობლოს თავდაცვის მტკიცე ეკონომიური საფუძველი.

რას წაადგა ჰიტლერული არმია, საბჭოთა კავშირში რომ შემოიჭრა? ფაშისტმა დამპყრობლებმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მოაყარეს მთელი თავისი სამხედრო ტექნიკა და მათ მიერ გაძარცვული ევროპის ტექნიკა. ომის დასაწყისში გერმანელებს ჰქონდათ უპირატესობა სამხედრო ტექნიკის რაოდენობის მხრივ, მაგრამ ხარისხით საბჭოთა სამხედრო ტექნიკა გერმანულზე უფრო უკეთესი აღმოჩნდა. ომის მსვლელობაში ჰიტლერელებმა ვერ შეინარჩუნეს რაოდენობრივი უპირატესობა სამხედრო ტექნიკის მხრივ. ახლა მტრის ყოფილი უპირატესობა, ტანკების, თვითმფრინავების, ნაღმსატყორცნებისა და ავტომატების რაოდენობის მხრივ ლიკვიდირებულია.

მეურნეობის სოციალისტურმა სისტემამ გვიჩვენა მთელი თავისი უდიდესი უპირატესობა. სტალინური ხუთწლედების იმპეტუსი ურალზე, ციმბირში აშენებულ იქნა ქვანახშირის, მეტალურგიული, მანქანათმშენებლობის ახალი გიგანტური კომბინატები. აღმოსავლეთში შექმნილი ეს პირველხარისხოვანი ინდუსტრიული ბაზები, ევაკუირებული ქარხნებით გაძლიერებულნი, ჩვენი თავდაცვის ხერხემალი გახდნენ. მთელი მრეწველობა სწრაფად გარდაიქმნა სამხედრო ყაიდაზე, ფრონტისათვის მუშაობის საწარმოებლად, მკვეთრად გაადიდა საჭურვლისა და საომარი მასალების გამოშვება.

„გასული წელი, — მიგვითითებდა ამხანაგი სტალინი თავის მოხსენებაში ოქტომბრის რევოლუციის 26 წლისთავის შესახებ, — გარდატეხის წელი იყო არა მარტო საომარი პროქმედების მსვლელობაში, არამედ ჩვენი ზურგის მუშაობაშიც. ჩვენს წინაშე უკვე აღარ იდგა ისეთი ამოცანები, როგორიც არის საწარმოთა ევაკუაცია აღმოსავლეთში და მრეწველობის გადაყვანა საჭურვლის წარმოებაზე. ახლა საბჭოთა სახელმწიფოს გამართული სამხედრო მეურნეობა აქვს, რომელიც სწრაფად იზრდება. მაშასადამე, ხალხის მთელი ღონისძიებანი შეიძლებოდა მთლიანად მოგვიხმარენა წარმოების გადიდებისათვის და საჭურვლის, განსაკუთრებით ტანკების, თვითმფრინავების, ქვემეხებისა და თვითმავალი არტილერიის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამ მხრივ ჩვენ უდიდეს წარმატებებს მივაღწიეთ“.

ომიანობის დროის ძნელ პირობებში ბოლშევიკურმა პარტიამ, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მოაწყეს ტანკების, თვითმფრინავებისა და მოტორების, საჭურვლისა და საომარი მასალების გაძლიერებული წარმოება. ომის განმავლობაში თვითმფრინავების წარმოება ჩვენს ქარხნებში ერთი-სამად გადიდდა. ტანკების წარმოება კიდევ უფრო მეტად გადიდდა. უდიდესი მასშტაბით გადიდდა ნაღმსატყორცნებისა და ავტომატების წარმოება. ბევრად გაიზარდა ზარბაზნების წარმოება. მაგალითად, ი. ბ. სტალინის სახელობის საარტილერიო ქარხნის კოლექტივმა მიაღწია ზარბაზნების გამოშვების თვრამეტჯერ კიდიდებას ომამდელ პერიოდთან შედარებით. ქარხანას 15 თვის განმავლობაში უპყრია ს.კ.კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველობა შეიარაღების სახალხო კომისარიატის ქარხნებს სოციალისტურ შეჯიბრებაში.

დაკარგეს რა ყოფილი უპირატესობა ტანკების რაოდენობის მხრივ, ჰიტლერელებმა იმედი დაამყარეს ტანკების ძლიერების ბაზდაზე, ახალ მძიმე ტანკებზე, რომლებსაც „ვეფხვებს“ უწოდებენ.

მაგრამ ახალი გერმანული ტექნიკა, მათ შორის ყბადაღებული „ვეფხვებიც“, დაამარცხა კიდევ უფრო მძლავრმა საბჭოთა ტექნიკამ — ჩვენმა ტანკებმა, თვითმავალმა ქვემეხებმა, არტილერიამ, ავიაციამ. ბრძოლა კურსკთან დამთავრდა გერმანელ ფაშისტთა არმიის ოდიდესი დამარცხებით, მან კატასტროფის წინაშე დააყენა იგი.

„საბჭოთა ზურგის მუშაკები, სახელგანთქმული კონსტრუქტორები და გამომგონებლები, საწარმოთა ხელმძღვანელები, მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები განოწყვეტლივ მუშაობენ იმისათვის, რომ ჩვენი სამხედრო ტექნიკა ხარისხით შემდეგშიც სჯობდეს მტრის ტექნიკას. ამხანაგ სტალინის მოწოდების პასუხად ჩვენი საავიაციო ქარხნების კოლექტივები პირობას იძლევიან მასიკენ წითელ არმიას მაღალი ხარისხის კიდევ უფრო მეტი თვითმფრინავები და ავიამოტორები, ვალდებულებას კისრულობენ „შემდეგშიც უზრუნველჰყონ ხარისხობრივი უპირატესობა ჰაერში მტრის თვითმფრინავებთან შედარებით“.

ომის ძნელ პირობებში თავდადებით მუშაობდნენ და მუშაობენ საბჭოთა მეტალურგები და ქვანახშირის მუშაკები, რომლებიც ჰქმნიან საძირკველს თავდაცვითი მრეწველობის ყველა დარგის წარმატებითი მუშაობისათვის. უკანასკნელი წლის განმავლობაში (1943 წლის ოქტომბერი 1942 წლის ოქტომბერთან შედარებით) თუჯის გამოდნობა გაიზარდა 28,1 პროცენტით, ფოლადის გამოდნობა გაიზარდა 17,9 პროცენტით. მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის 1943 წელს დაჯილდოებულ იქნა ქვანახშირის მრეწველობა, შავი მეტალურგიის, სანაღმტყორცნო შეიარაღების მრეწველობის, საავიაციო მრეწველობის, სატანკო მრეწველობის, ტრანსპორტის, სამშენებლო მრეწველობის, ტორფის მრეწველობის მრავალი ათასი მოწინავე მუშაკი.

ჩვენი ქვეყანა ომობს და აშენებს. საბჭოთა ხელისუფლების 26-ე წელი წარმატებითი მშენებლობის წელი იყო. საექსპლოატაციოდ გადაეცა ისეთი უდიდესი ახალი მშენებლობები, როგორიც არის მაგნიტოგორსკის რკინადი № 5, რომელიც უდიდესია ევროპაში; ჩელიაბინსკის თბოელექტროცენტრალი; ჩელიაბინსკის მეტალურგიული ქარხანა; ჩუსოვის ბრძმედი; მოსკოვის მეტროს მეცამერიგი; ჩრდილოეთ-პეჩორის რკინიგზა კორკუტა-კოტლასი-კონოშა სიგრძით 1.847 კილომეტრი; რკინიგზები ვოლგის მარჯვენა ნაპირზე; სტალინგრადი-ვოლსკი, ულიანოვსკი-სეიანსკი და მრავალი სხვა ახალი მშენებლობა. მოკლე ხანში ამუშავდება გიგანტური ბრძმედი № 6 მაგნიტოგორსკის ქარხანაში.

ომის განმავლობაში სულ უფრო და უფრო ფართოდ იყენებენ მშენებლობის ნამდვილად სწრაფ მეთოდებს არა მარტო მარტივ ნაგებობათა მშენებლობის დროს, არამედ ისეთი დიდი და რთული ობიექტების მშენებლობის დროსაც, როგორიც არის ბრძმედები.

მუშათა კლასის შრომითი გმირობა თავის გამოხატულებას პოულობს იმაში, რომ ადწარმოებში სისტემატურად იზრდება შრომის ნაყოფიერება. სტახანოველთა, მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, სამეურნეო მუშაკთა შემოქმედებითი აზრი, ინიციატივა შრომის ნაყოფიერების გადიდების, წარმოების მეთოდების გაუმჯობესების ახალ გზებს პოულობს. წარმოების ნაკადურ სისტემაზე გარდაქმნის ცდამ უკვე სერიოზული შედეგები მოგვცა საომარ მასალათა ქარხნებში, მოწინავე საავიაციო და მანქანათმშენებელ საწარმოებში. დიდი მნიშვნელობა აქვს საფრონტო კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადათა თაოსნობას, რომლებიც სამუშაო დღის შემჭიდროების ხარჯზე, რაციონალიზაციის ხარჯზე საწარმოო გეგმებს ასრულებენ მუშათა ნაკლები რაოდენობით. ამ გზით თავისუფლდება მუშახელის ახალი რეზერვები დამატებითი პროდუქციის გამოსაშვებად.

კოლმეურნეობებმა სამამულო ომის დღეებში თავი გამოიჩინეს, როგორც ფრონტის მტკიცე დასაყრდენმა, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს საბჭოთა ზურგის განმტკიცებაში. საკოლმეურნეო წყობილებამ შესაძლებლობა მოგვცა საბჭოთა გლეხობას მთელი ძალები დაგვიგროვებინა მტერთან საბრძოლველად. „თუ ომის მესამე წელს ჩვენი არმია სურსათის ნაკლებობას არ განიცდის, თუ მოსახლეობა მარაგდება სურსათით, ხოლო მრეწველობა — ნედლეულით, ამაში თავი იჩინა საკოლმეურნეო წყობილების ძალამ და სიცოცხლისუნარიანობამ, **კოლმეურნე გლეხობის პატრიოტიზმმა**“ (ი. სტალინი).

საკოლმეურნეო წყობილების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა წითელი არმიისა და ჩვენი ქვეყნის შეუფერხებელი მომარაგება, განსაკუთრებით ტერიტორიის იმ დაკარგვის პირობებში, რაც ჩვენ გვქონდა ომის პირველ პერიოდში. საკოლმეურნეო წყობილების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ის უდიდესი მუშაობაც, რომელიც ახლა სწარმოებს სოფლის მეურნეობის აღსადგენად გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულ რაიონებში.

შეიძლება დავასახელოთ ბევრი ოლქი და რესპუბლიკა, რომლებიც ომიანობის დროს რთულ პირობებში არა თუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც ასრულებენ სახელმწიფოს დავალებებს სოფლის მეურნეობის დარგში, ფართოდ არის ცნობილი აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის, მოსკოვის, კალინინის, გორკის, იაროსლავლისა და მთელი რიგი ოლქებისა და რესპუბლიკების კოლმეურნეობათა წარმატებანი. სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის განვითარების დარგში მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ამას წინათ ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულ იქნა აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის კოლმეურნეებისა და კოლმეურნე ქალების და სოფლის მეურნეობის მუშაკების დიდი ჯგუფი.

ომის განმავლობაში კოლმეურნე გლეხობამ გამოიჩინა სოფლის ისტორიაში არნახული შეგნება საერთო-სახალხო ინტერესებისა. საკოლმეურნეო მინდვრებზე თავდადებული მუშაობით, საბრძოლო ტექნიკის ასაგებად სახსრების შეგროვებით, განთავისუფლებული რაიონებისათვის დახმარების გაწევითა და ფრონტზე მყოფ სამშობლოს დამცველებზე ყოველდღიური მზრუნველობით მან გვიჩვენა, რომ იგი ახლანდელ ომს გერმანელთა წინააღმდეგ სოფლის თავის სოციალისტურ საქმედ, თავისი სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის წარმოებულ ომად.

ფრონტისადმი ბრძოლა დახმარების მაჩვენებელს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მოწინავე კოლმეურნეობები, რაიონები, ოლქები და რესპუბლიკები, რომლებმაც შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გეგმა, განაგრძობენ გეგმის ზევით პურის, კარტოფილისა და ბოსტნეულის ჩაბარებას. მაგალითად, მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის კოლმეურნეებმა წელს სახელმწიფოს გეგმის ზევით სამშობლოს დამცველთა ჯანმრთელობის ფონდში ჩაბარეს მალიონზე მეტი ფუთი ბოსტნეული და კარტოფილი და 291.000 ლიტრი რძე. მრავალი ათასი კოლმეურნე აწარმოებს პურის მიყიდვას სახელმწიფოსათვის თავისი პირადი მარაგიდან.

დიდი თავდადებით შრომობენ ფრონტისათვის ჩვენი ტრანსპორტის მუშები და მოსამსახურეები. ტრანსპორტმა შეაკავშირა ფრონტი და ზურგი, თავი გაართვა თავის გადამწყვეტ როლს ფრონტისათვის საჭურვლის, საომარი მასალების, სურსათის, ტანსაცმლის მიზიდვის საქმეში.

ფრონტისპირა რაიონებში რკინიგზელები ზმირულ მუშაობას ეწევიან მტრის მიერ დანგრეული გზების, ხიდების, სატრანსპორტო მეურნეობის აღდგენისათვის.

საბჭოთა ზურგი ყველაზე მტკიცე, ყველაზე საიმედო ზურგია. მსოფლიოს არმიებში არც ერთ არმიას არა აქვს ისეთი ურყევი ზურგი, როგორც წითელ არმიას. წითელი არმია ეყრდნობა ზურგის საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერას.

* * *

მთელი საბჭოთა ხალხი, თავისი დიდი ბელადისა და მხედართმთავრის მოხსენებით აღფრთოვანებული; ხედავს და გრძნობს, რომ ჩვენ მივაღწიეთ ომში ძირფესვიან გარდატეხას ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ, რომ ჩვენი გამარჯვების დღე ახლოვდება.

„მაგრამ საბჭოთა ადამიანებს,—მიგვითითებს ამხანაგი სტალინი,—არ შეიფერთ მიღწეულით დაკმაყოფილება, თავიანთი წარმატებებით დატკბობა. გამარჯვება შეიძლება ხელიდან გაეუშვათ, თუ ჩვენს რიგებში თვითდამშვიდებამ იჩინა თავი. გამარჯვებას უბრძოლველად და დაუძაბავად ვერ მოიპოვებ. მისი მოპოვება ბრძოლით ხდება. ახლა გამარჯვება ახლოა, ზაგრამ მის მოსაპოვებლად საჭიროა ძალთა ახალი დაძაბვა, მთელი ზურგის თავდადებული მუშაობა, წითელი არმიის მარჯვე და ფაბედური მოქმედება ფრონტზე“.

ჩვენმა ხალხმა ამხანაგ სტალინის მოხსენებას შრომითი ენტუზიაზმის ახალი აზვირთებით უპასუხა. საბჭოთა ზურგის მშრომელებს ესმით, რომ საჭიროა მთელი ჩვენი ძალების დაძაბვა, რათა მტერი საბოლოოდ გავანადგუროთ.

ამხანაგ სტალინის მოხსენების პასუხად მრეწველობის ყველა დარგში გაიშალა მძლავრი ზომრაობა შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის, წლიური გეგმების ვადაზე ადრე შესრულებისათვის, ლითონის, ქვანახშირის, თვითმფრინავების, ტანკების, იარაღის, საომარი მასალების, საჭურვლისა და სამრეწველო პროდუქციის იმ სხვა სახეების დამატებითი რაოდენობით დამზადებისათვის, რაც ფრონტს ესაჭიროება. ჩვენი ამოცანაა განუხრელად განვავითაროთ სამხედრო ინდუსტრია და მისი საფუძველი—შავი მეტალურგია, საბობინისა და ენერგეტიკული მრეწველობა; მიაღწიოთ იმას, რომ ჩვენს მრეწველობაში არ იყოს ჩამორჩენილი საწარმოები. რომ პროდუქციის გამოშვება ყოველდღიურად იზრდებოდეს, ხოლო მისი ხარისხი განუწყვეტლივ უმჯობესდებოდეს; რომ ჩვენმა მრეწველობამ ისწავლოს პროდუქციის გამოშვების გაფართოება მუშაკთა ნაკლები რაოდენობით არსებული ტექნიკის უკეთ გამოყენებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების ხარჯზე.

კოლმეურნე გლეხობა ამხანაგ სტალინის მოხსენების საპასუხოდ აგრეთვე იძლევა თავდადებული შრომის, საზოგადოებრივი ინტერესებისა მაღალი შეგნების ახალ მაგალითებს. ჩვენი ამოცანაა ყოველმხრივ განვავითაროთ და განვამტკიცოთ სოფლის მეურნეობის ყველა დარგი, წარმატებით ჩავატაროთ პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადება, დროულად მოვემზადოთ საგაზაფხულო თესვისათვის, წესრიგში მოვიყვანოთ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მანქანათა პარკი, მივაღწიოთ მეცხოველეობის შემდგომ ზრდას.

ბოლოს, უმნიშვნელოვანეს საყოველთაო-სახალხო ამოცანას წარმოადგენს მეურნეობისა და კულტურის აღდგენა მტრისაგან განთავისუფლებულ რაიონებში. ჩვენ უნდა აღვადგინოთ დანგრეული ქალაქები და სოფლები, მრეწველობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, კულტურული დაწესებულებანი. „ჩვენ შეგვიძლია და კიდეც უნდა დადაგწყვეტოთ ეს ძნელი ამოცანა მოკლე ვადაში“. (სტალინი).

რაც უფრო უკეთესად, რაც უფრო თავდადებულად იმუშავებს საბჭოთა ზურგი და წითელ არმიას მიაწვდის საჭურვლის, საომარი მასალების სულ უფრო და უფრო მძლავრ ნაკადებს, რაც უფრო უკეთესად იმუშავებენ ჩვენი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ჩვენი ტრანსპორტი, — მით უფრო ზალე მოახლოვდება ყამი ჩვენი საბოლოო გამარჯვებისა საძულველ მტერზე. ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის — ამ ერთიანი მისწრაფებით ცხოვრობს ამჟამად ყველა საბჭოთა ადამიანი.

(„პრავდა“, 1 დეკემბერი).

ემელიან მიხეილის-ძე იაროსლავსკის დაკრძალვა

6 დეკემბერს საბჭოთა ხალხი უკანასკნელად [illegible] ემ. მ. იაროსლავსკის ხსოვნისადმი გამოეთხოვა ბოლშევიკური პარტიის უხუცეს მოღვაწეს, მშრომელთა საქმისათვის თავდადებულ მებრძოლს—ამხანაგ ემელიან მიხეილის-ძე იაროსლავსკის.

დილიდან ურნა ე. მ. იაროსლავსკის ფერფლით დადგმულ იქნა კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში. სამგლოვიარო პოსტამენტთან დაუსრულებელ მწკრივად მიდიან დედაქალაქის მშრომელნი. აქ არიან მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების მუშები, პარტიული მუშაკები, საბჭოთა მეცნიერები, სტუდენტები, ხელოვნებათა მუშაკები, მოსწავლეები, წითელი არმიის გენერლები, ოფიცრები და მებრძოლები.

შავი მარმარილოს ურნა დგას მაღალ პოსტამენტზე. მის კვარცხლბეკთან არის შავ კრეპ შემოვლებული პორტრეტი ე. მ. იაროსლავსკისა, სამგლოვიარო გვირგვინები, ალისფერი ბალიში ლენინის ორდენით, რომლითაც საბჭოთა მთავრობამ დაჯილდოვა ემელიან მიხეილის-ძე მ